მ. როკიჩის სკალა

მ. როკიჩი სიციალურ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში, განსაკუთრებით სკალური მეთოდების შექმნით ცნობილია, როგორც ღირებულებების სკალის (ტერმინალური და ინსტრუმენტული), დოგმატიზმის (D-სკალა) სკალის და ა. შ. ავტორად.

მ. როკიჩი თავის შრომებში ეხება ატიტუდის გაზომვის საკითხს. მის მიერ შემუშავებული სკალა (ატიტუდი ობიექტის, ატიტუდი სიტუაციის მიმართ) არის ძირითადი ცვლადები სოციალური ქცევის პროგნოზირებისათვის. ამ სკალის შექმნისა და შემუშავებისათვის საჭიროა ფართოდ შევეხოთ მ. როკიჩის თეორიას.

ატიტუდი მ. როკიჩის აზრით არის ქცევის „განრიგი", ანუ ასეთი დამოკიდებულების ქცევით კომპინენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამის და მიუხედავად ავტორი ატიტუდის სამივე კომპონენტზე მიუთითებს: კოგნიტურ, აფექტურ და ქცევით ტენდენციაზე, რომლებსაც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი გააჩნიათ. ამ თეორიაში ატიტუდის ცნებას უკავშირდება საბაზისო ცვლადი-რწმენა. რწმენა არის მარტივი მსჯელობა, რაც გულისხმობს პიროვნების მიერ გამოთქუმლ აზრს, ან ამ აზრის შესრულებას რეალურად. რწმენის შინაარსი შეიძლება იყოს აღწერითი (სწორია-არასწორია), შეფასებითი (კარგი-ცუდი), ან აქტივობის გამომხატველი (სასურველი-არასასურველი). ასეთი შინაარსით ის უკავშირდება ატიტუდს, ე. ი. ატიტუდი აერთებს რწმენას, მაგრამ ყველა რწმენა არ არის აუცილებლად ატიტუდის ნაწილი.

მ. როკიჩი ერთ სისტემაში განიხილავს რწმენებს, ატიტუდებს, ღირებულებებს, რომლებიც ცალკეულ ცვლადებს წარმოადგენენ. ამ სისტემაში რწმენა განხილულია, როგორ თეორიულ კონსტრუქტი რწმენათა კონგრუენტულობის. რწმენა შესაძლებელია ორმხრივად დახასიათდეს, როდესაც საქმე გვაქვს ვერბალურ კონტექსტთან. მაგ: კონცეფცია „კომუნიზმი" შესატყვისობაშია და ასოცირდება ისეთ ცნებებთან, როგორიცაა პოლიტიკა, ისტორია, ომი და სხვ. რომელიმე კონცეფციის დახასიათებისას თავს იჩენს ორი კომპონენტი-ერთი ობიექტი, ხოლო მეორე — სუბიექტი. ობიექტ-სუბიექტის მიმართებაში ჩანს სუბიექტის ქმედება და მისი დახასიათება, მაგ: „უპასუხისმგებლო მამა". აქ ობიეტი მოცემულია განზოგადებულად სიტუაციის ფარგლებში. იმ შემთხვევაში თუ ეს ორი კომპონენტი შესატყვისობაში არ არიან ერთმანეთთან ის ახალ მნიშვნელობას იძენს. მაგ: „უპასუხისმგებლო" ცალკე აღებული, აღიქმება, როგორც დახასიათება მხოლოდ და არა ობიექტთან მიმართება. როდესაც შეფასება ხდება ობიექტის დახასიათების (ანუ ობიექტი-სიტუაციაში მომქმედი) და დავადგენთ რწმენას, აუცილებელია ამ ორი კომპონენტის მნიშვნელობების წონების შეჯამება მოვახდინოთ, რაც გამოიხატება შემდეგ განტოლებაში:

$$B_{os} = (w)A_o + (1+w)A_s \qquad (1)$$

სადაც B_{os} — არის ხარისხი (შეფასების დონე) პოლარულ სკალაზე დახასიათებული სუბიექტის, A_o — არის ხარისხი დახასიათება (ობიექტურ სკალაზე), A_s — არის ხარისხი დახასიათების სუბიექტის; w და (1-w) — არის მნიშვნელობა აღწერილი წონების (A_o და A_s შორის შესატყვისობის).

მ. როკიჩის ატიტუდის სკალა ძალზედ წააგავს რწმენის კონგრუენტობის ძირითად მახასიათებლებს. ატიტუდის ბუნებაზე მსჯელობისას, სკალის ავტორი თვლის, რომ ატიტუდი ობიექტის მიმართ არ არის სივრცეში განფენილი ცვლადი, არამედ ის ჩნდება გარკვეული სოციალური სიტუაციის ფარგლებში, და ამ უკანასკნელის მიმართაც (სიტუაცია) გააჩნია პიროვნებას ასევე დამოკიდებულება.

ამგვარად სკალის ავტორი განსხვავებულად ინტერპრეტირებას ატიტუდის კონცეფციას და გამოჰყოფს ატიტუდს — ობიექტის მიმართ და ატიტუდის — სიტუაციის მიმართ. ამ ორ ცვლადს ისეთი სახის მიმართება გააჩნიათ, როგორც ფიგურა და ფონის მიმართებაა, ე. ი. ობიექტი და სიტუაცია ისეთ მიმართებაშია, რომ ქმნის საერთო გეშტადტს. თუ არსებობს

აღნიშვნა ატიტუდის ამ ორ მხარეზე, ხორციელდება სოციალური ქცევის პროგნოზირება, ე. ი. ეს ცვლადები არ/ მისი ფუნქცია, რაც შემდეგ განტოლებაში აისახება

$$B_{os} = f(A_o A_s) \qquad (2)$$

სიახლე და განსხვავება, სწორედ ატიტუდის ამ ორი სახის გამოყოფაშია. ტრადიციულად მხოლოდ ატიტუდის ობიეტის მიმართ (A_o) ზომავენ და გამოტოვებული ქონდათ ატიტუდი სიტუაციის მიმართ (A_s). ეს ორი კომპონენტი კოგნიტურად უკავშირდება ერთმანეთს და არის საუკეთესო წინასწარმეტყველი აშკარა ქცევის. ორივე კომპონენტს მიეწერება შესატყვისი რელატური წონები. ორივე კომპონენტი დამოუკიდებლად იღებს წონებს, რაც მათ თანაფარდობაში გამოიხატება. ასეთ შემთხვევაში A_oA_s. ტოლია A_o და A_s მიღებული წონების ჯამის.

$$A_oA_s = (w)A_o + (1-w)A_s \qquad (3)$$

სადაც A_oA_s არის ატიტუდი ობიექტის და სიტუაციის მიმართ
(w) და (1-w) არის აღქმული მნიშვნელობები A_oA_s (1)

აქედან გამომდინარე თუ ატიტუდის გაზომვას დავუკავშირებთ აშკარა ქცევის მიმართებას, მივიღებთ შემდეგ ფორმულას

$$B_{os} = f(A_oA_s) = (w)A_o + (1-w)A_s \qquad (4)$$

ამგვარად ატიტუდის გაზომვისას ამ სკალის შემუშავების შემთხვევაში საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ატიტუდის ორი მხარე. ობიექტის მიმართ დამოკიდებულება, მომქმედი კონკრეტულ სიტუაციაში და ამ სიტუაციის მიმართ დამოკიდებულება.

ამ მეთოდით მრავალი კვლევა შესრულდა. თვით ავტორის და მისი კოლეგების მიერ, ასევე შესრულებულია ეკოლოგიური (ბუნების დაცვის) ქცევის შესწავლაც. თუ ბევრი საკვლევი ობიექტია სკალა ჩატარდება მაქსიმუმ მოითხოვს (ჩატარების დრო) 15 წუთს.

რესპონდენტს ეძლევა ინსტრუქცია რომელშიც აღწერილია თუ, რატომ ტარდება ეს კვლევა და რა მოქმედებები უნდა შეასრულონ. თუ ატიტუდის ობიექტთა რიცხვი დიდია ის შეიძლება ცალკე ფურცელზე იქნეს ჩამოწერილი და რესპოდენტმა თვითონ შეარჩიოს სასურველი ობიექტები. ინსტრუქციაში მითითებულ უნდა იქნეს, რომ გაინტერესებთ რესპონდენტის პირადი აზრი და აქ არ არის სწორი და არასწორი პასუხები.

ეს სკალა შედგება ორი ნაწილისაგან, პირველ ნაწილში მოცემულია Ao და As, როგორც პიროვნებისათვის მნიშვნელოვანი და მოწონებით-არამოწონებით ტერმინებში გამოხატული შეფასების სკალებით, სადაც ატიტუდის სიტუაციის მიმართ ფასდება 9 საფეხურთან სკალაზე



აქვე ცდისპირებს თხოვენ, რომ ატიტუდი შეაფასონ სიტუაციის მიმართ (A_s) მოცემული სიტუაციის განზოგადებით, ან საერთოდ როგორ მიაჩნია, ზოგადად.

მეორე სკალა ეხება პიროვნების ატიტუდს ობიეტის მიმართ (A_o). ასეთი ობიექტების არჩევა თუ ის ბევრია, შეიძლება მოხდეს წინასწარ მიწოდებული სიიდან (მაგ: პრეზიდენტის არჩევნების კანდიდატები) აქაც მოცემულია 9 საფეხურიანი სკალა, რომელზედაც შეფასება უნდა მოხდეს მოწონება არმოწონების ტერმინებში.



აქ უკვე ~~ექსპერიმენტატორს~~ რესპონდენტს თხოვენ, რომ შეაფასონ ატიტუდი ობიექტის მიმართ (A_o) ე. ი. კონკრეტული პირის, საგნის ან მოვლენის შეფასება ხდება. მოწონება აღნიშნავს დადებით, ხოლო არმოწონება უარყოფით დამოკიდებულებას.

სკალის მეორე ნაწილში იზომება ორივე ატიტუდის (A_s) აღქმული მნიშვნელობა. ამ სკალაზე წონები პროცენტულად არის გამოხატული 0-დან 100%-მდე. სკალა შემდეგი სახისაა



რესპონდენტს მეორე ინსტრუქცია ეძლევა აქაც, რომ მან უნდა შეაფასოს თავისი გრძნობები (ემოციური დამოკიდებულება) ობიექტის Ao და As მიმართ და ის გამოხატონ პროცენტულად, მაგრამ ჯამში ასეთი სიხშირეები უნდა შეადგენდეს Ao და As სკალებისათვის 100%. ამგვარად სკალის მეორე ნაწილიც შედგება ორი ქვესკალისაგან სადაც ფასდება გრძნობებითი დამოკიდებულება ობიექტის მიმართ Ao და გრძნობითი დამოკიდებულება (მნიშვნელობა-არმნიშვნელობის) სიტუაციის მიმართ.

ქულების დათვლა ამ სკალაზე ხორციელდება მესამე (3) განტოლების შესატყვისად. მაგ: თუ სკალის პირველ ნაწილში რესპედენტმა ატიტუდი სიტუაციის მიმართ აღნიშნა 6 ქულით, ხოლო ატიტუდი ობიექტის მიმართ 3 ქულით, ხოლო სკალის მეორე ნაწილში ატიტუდი სიტუაციის მიმართ 80% ხოლო სუბიექტის მიმართ 20%, მაშინ ამ რიცხვების მესამე (3) ფორმულაში ჩასმით ჩვენ ვიღებთ შემდეგ პასუხებს.

$$A_oA_s = ([0,80]6 + [0,20]3) = 5,4 \qquad (3)$$

ეს უკანასკნელი ქულა აღნიშნავს ატიტუდის საბოლოო მაჩვენებელს. ის შეიძლება ვარირებდეს საბოლოო სკალაზე 1-დან 9-მდე. რაც უფრო მაღალია ესა თუ ის მაჩვენებელი, მათ უფრო დადებითი დამოკიდებულება აქვს რესპონდენტის მოვლენის მიმართ. ეს მონაცემი ასევე გამოიყენება ქვეცვით პროგნოზირებისათვის, რადგან ავტორი უშვებს, რომ ატიტუდი სიტუაციის და ობიექტის მიმართ არის აშკარა ქცევის დეტერმინანტები.

ამ სკალის ვალიდობის და სანდოობის დადგენის შესახებ ჩვენ ცნობები არ მოგვეპოვება. თუმცა თვით როკიჩის მონაცემები მნიშვნელოვან შედეგებს აჩვენებენ ასევე შინაგან კარელაციას სკალის ელემენტებს შორის. სკალის დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ ამ სკალით ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ, როგორც ჯგუფური მაჩვენებლები, ასევე რესპონდენტის ინდივიდუალური დამოკიდებულებები. თუ შეფასების ობიექტი (A_o) ბევრი არ არის სკალის შევსებას ჭირდება 3 წუთი. ის შეიძლება ჩატარდეს როგორც ცალკე აღებული ატიტუდის გასაზომად და ასევე მ. როკიჩის მოდელის ფარგლებში, სადაც A_oA_s გამოდის აშკარა ქცევის პროგნოზირების მაჩვენებლად.

ბოლოს მოგვყავს ამ სკალის ნიმუში:

„თქვენ გეძლევათ სკალა, რომელიც ზომავს თქვენს დამოკიდებულებას (————————) მიმართ. აქ არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები, ჩვენ გვაინტერესებს თქვენი აზრი. თქვენ გევალებათ ქვემოთ მოცემულ სკალებზე შეაფასოთ X ნიშნით თქვენი დამოკიდებულებებები. მაგ:

მომწონს	—	—	—	—	—	×	—	—	—	არ მომწონს
	1	2	3	4	5	6	7	8	9	

გთხოვთ ყველა პუნქტი წაიკითხოთ და შეასრულოთ ის მითითება, რომელიც ყოველ პუნქტს შეესატყვისება წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის“

1. საერთოდ (ან ზოგადად) ჩემთვის არჩევნებში მონაწილეობა და ხმის მიცემა მიმაჩნია

1 2 3 4 5 6 7 8 9

ძალზედ უმნიშვნელოდ — მნიშვნელოვნად — ძალზედ მნიშვნელოვნად

2. ჩემთვის ხმის მიცემა კანდიდატ ———————— მხარდასაჭერად ნიშნავს, რომ

1 2 3 4 5 6 7 8 9

ძალზედ არ მომწონს — ხან მომწონს ხან არა — ძალზედ მომწონს

ზემოთ თქვენ შეავსეთ და დააფიქსირეთ სიხშირე თქვენი დამოკიდებულებების. თქვენი შეფასების გათვალისწინებით გთხოვთ მიანიჭოთ მათ ხარისხები, ქვემოთ მოცემულ სრ სკალაზე. ხარისხი აღნიშვნის გამოიხატება თქვენს გრძნობად დამოკიდებულებაში. ის გამოიხატება პროცენტებით, რომელთა ჯამი უნდა შეადგენდეს 100%-ს.

1. თქვენი გრძნობები კანდიდატ ———————— მიმართ?

0% 10% 20% 30% 40% 50% 60% 70% 80% 90% 100% ———

2. საერთოდ თქვენი გრძნობები არჩევნებში მონაწილეობის მიმართ და ხმის მიცემის მიმართ.

0% 10% 20% 30% 40% 50% 60% 70% 80% 90% 100% ———

3. ორთავეს ჯამი უნდა გვაძლევდეს (1.+2.) 100%